

## კვაკერები

### „მეგობართა რელიგიური საზოგადოება“

კვაკერების პროტესტანტული მოძრაობა ჩაისახა 1650-იან წლებში ინგლისში. მათი დამაარსებელია ჯორჯ ფოქსი. მათი აზრით, ეკლესიამ დააშორა ადამიანები ქრისტიანობის პირველ იდეალებს, გააფეტიშა წესები და რიტუალები, დაიწყო ძალაზე დამყარებული პოლიტიკის გატარება.

ჯორჯ ფოქსმა მთელი ცხოვრება მიუძღვნა თავისი ხედვისა და ქრისტიანობის ახლებური გააზრების სხვებისთვის გაზიარებას. იგი 8-ჯერ იჯდა ციხეში, სადაც მას სცემდნენ და აწამებდნენ ახალ რელიგიურ რწმენის გავრცელებისათვის. მისი ნაშრომები წარმოადგენს მთავარ საყრდენს კვაკერებისა - „მეგობართა რელიგიურ საზოგადოებისა“.

თავდაპირველად ისინი წარმოადგენდნენ ერთ-ერთ განშტოებას ანგლიკანურ ეკლესიის წინააღმდეგ. ისინი სახელმწიფო ეკლესიის წევრობაზე და მის სასარგებლოდ გადასახადების გადახდაზე უარს ამბობდნენ, ისინი ითხოვდნენ სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას, აღიარებდნენ ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობასა და უარს ამბობდნენ ომში მონაწილეობაზე. მოსამართლემ, რომელსაც ფოქსი ღვთის წინაშე კრძალვისკენ მოუწოდებდა, დაცინვით უწოდა მის მიმდევრებს „კვაკერები“ ( quake- ინგლის. კანკალს, თრთოლვას ნიშნავს). ხოლო „რელიგიური საზოგადოება“ მათ მისამართით 1665 წელს გამოიყენეს.

კვაკერები არსობრივად განსხვავდებიან სხვა ქრისტიანულ ჯგუფებისაგან: მათ არ ყავთ მღვდლები, არა აქვთ ფორმალური საღვთისმსახურო განრიგი და რწმენის სიმბოლო. მე-18 საუკუნეს კვაკერებმა დიდი დევნა განიცადეს. ინგლისში მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ და ციხეებში ამწვევდნენ და ამიტომ 1656 წელს ისინი ამერიკაში გადასახლდნენ. მე 19-ე საუკუნეს მათ განიცადეს ორჯერ განხეთქილება: პირველი - 1827 წელს, გამოყოფილებს უწოდეს ჰიქსიტები, ე. ჰიქსის სახელის მიხედვით, რომელიც განმანათლებლობისა და ლიბერალიზმის პრინციპების დიდ ზეგავლენას

განიცდიდა. მეორე - 1845 წელს, როცა კვაკერები ჰენრიტებად და უილბუნისტებად გაიყო. ჯ. ჰენრი ბიბლიის განსაკუთრებულ ავტორიტეტზე მიუთითებდა, ჯ. უილბური კი თვლიდა, რომ ჰენრი არღვევს „შინაგანი სინათლის“ უზენაეს ძალაუფლების პრინციპს. ჰენრისტებმა მიიღეს უფრო მეტად ეკლესიური სახელწოდება „მეგობართა ეკლესია“.

კვაკერების ცენტრალურ ცნებას წარმოადგენს „შინაგანი სინათლე“, რომელიც მიუთითებს სულიწმინდის მოქმედებაზე ადამიანში. ბიბლია ფასეულ გამოცდილებას წარმოადგენდა, მაგრამ არ იყო მათთვის ნორმატიული ხასიათისა. 2007 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამოვიდა სერგეი გრუმკო ორ სხვა კვაკერთან ერთად ქართველი კვაკერების დასახმარებლად. საზოგადოება წარმოდგენილია 1996 წლიდან. არ არიან დარეგისტრირებულნი. მათი რაოდენობა 21 კაცია. გამოსცეს 4 რელიგიური ხასიათის ბროშურა. რეგიონებში არ არიან წარმოდგენილნი. არ შედიან მსოფლიო საეკლესიო საბჭოში, მაგრამ ჰყავთ იქ თავისი წარმომადგენლები.